საქართველოს ეროვნული ბანკის საქმიანობა რამდენიმე ძირითად ფუნქციას აერთიანებს:

ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა

ინფლაციის ზრდის დაბალი და პროგნოზირებადი ტემპის უზრუნველყოფით ეროვნული ბანკი ინარჩუნებს ფასების სტაბილურობას.

ზედამხედველობა ფინანსური სტაბილურობისთვის

ეროვნული ბანკი ზედამხედვე-ლობს საფინანსო სექტორს და უზრუნველყოფს საფინანსო სისტემის სტაბილურობასა და გამჭვირვალობას მომხმარებელთა და ინვესტორთა უფლებების დასაცავად.

ფულის ემისია

ქვეყნის ეკონომიკას ფულის ნიშნებით სწორედ ეროვნული ბანკი უზრუნველყოფს. ის ასევე უფლებამოსილია, გამოუშვას ნუმიზმატური დანიშნულების - საკოლექციო მონეტები და ბანკნოტები.

საერთაშორისო რეზერვების მართვა

ეროვნული ბანკი ფლობს, მართავს და განკარგავს საერთაშორისო რეზერვებს - ბალანსის უმსხვილეს აქტივს. მართვის პრინციპებია უსაფრთხოება, ლიკვიდურობა და შემოსავლიანობა.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების ხელშეწყობა

ეროვნული ბანკი არეგულირებს ფასიანი ქაღალდების ბაზარს, იცავს ინვესტორთა ინტერესებს და უზრუნველყოფს საჯარო ვაჭრობის ღიაობას.

საგადახდო სისტემების განვითარების ხელშეწყობა

ეროვნული ბანკის ხელს უწყობს საგადახდო სისტემების უსაფრთხო, მდგრად და ეფექტიან ფუნქციონირებას.

მომხმარებელთა უფლებების დაცვა

ეროვნული ბანკის უმთავრესი პრიორიტეტია სათანადოდ იყოს დაცული საფინანსო სექტორის მომხმარებელთა უფლებები, რასაც სისტემატურ მონიტორინგს **მომხმარებელთა უფლებების დაცვის განყოფილება** უწევს.

სტატისტიკა და კვლევები

ეროვნული ბანკი საფინანსო და საგარეო სექტორის სტატისტიკას და შესაბამის ანალიტიკურ და კვლევით სამუშაოებს აწარმოებს.

ინფორმაციისა და კონსულტაციისთვის დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე:

(032) 2-406-406

ეროვნული ბანკის ფუნქციები

1. ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა
2. ზედამხედველობა ფინანსური სტაბილურობისთვის
3. ფულის ემისია
4. საერთაშორისო რეზერვების მართვა
5. ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების ხელშეწყობა
6. საგადახდო სისტემების განვითარების ხელშეწყობა
7. მომხმარებელთა უფლებების დაცვა
8. სტატისტიკა და კვლევები







პირველი ცენტრალური ბანკი საქართველოში 1919 წელს შეიქმნა და გასაბჭოებამდე ფუნქციონირებდა, ხოლო დღევანდელი სახით, როგორც **დამოუკიდებელი** საქართველოს ცენტრალური ბანკი, 1991 წლიდან მოქმედებს.

საქართველოს ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობა გარანტირებულია ქვეყნის კონსტიტუციით (95-ე მუხლი, მე-3 პუნქტი) და ორგანული კანონით.

საქართველოს ეროვნული ბანკი მთავრობის ბანკირი და ფისკალური აგენტია, რომელიც საქართველოს საერთაშორისო საფინანსო არენაზე წარმოადგენს.

www.nbg.gov.ge

საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

რა უნდა იცოდეთ ეროვნული ბანკის შესახებ